საქართველოს მთავრობის

დადგენილება №488

2019 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელფასისა (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და ხელფასზე (ფულად სარგოზე) დანამატის ოდენობების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №387 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2015, 130000000.10.003.018773) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №22 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი №22

კონტრტერორისტული ცენტრი (დეპარტამენტი) (ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახურის გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
ცენტრის (დეპარტამენტი) უფროსი	6000
ცენტრის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე	4500
მთავარი სამმართველოს უფროსი	3750
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	3100
სამმართველოს უფროსი	2900
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2700
სამსახურის უფროსი	2600

განყოფილების უფროსი	1850
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი	1870
განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორ-გამომძიებელი	1775
უფროსი გამომძიებელი	1550
უფროსი ინსპექტორი	1530
მთავარი სპეციალისტი	1470
ინსპექტორი	1405

.